ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 5

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 8 ივლისი, 2011წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **აიპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი ნინო ონანაშვილი და მეორეს მხრივ – აუდიტორულ კომპანია „კომპაუდს" (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორის წარმომადგენელი ვაჟა კობიაშვილი.**

3. ხელშეკრულების საგანი

„შემსყიდველის" 2010 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 **„შემსყიდველს"** უფლება აქვს:

5.1.1 **„მიმწოდებლისგან"** მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლის 18 ივლისიდან 31 ივლისამდე პერიოდში;

5.1.2 **„მიმწოდებლისგან"** მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვა;

5.2 **„შემსყიდველი"** ვალდებულია:

5.2.1 გადასცეს **„მიმწოდებელს"** ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება და დაკავშირებულია აუდიტის საგანთან;

5.2.2. შეუქმნას **„მიმწოდებელს"** აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

5.2.3 უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.3 **„მიმწოდებელს"** უფლება აქვს:

5.3.1 მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, აგრეთვე „**შემსყიდველთან**" დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;

5.3.2 „**შემსყიდველისაგან**" მოითხოვოს აუდიტის საგანთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.3.3 უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „**შემსყიდველი**" არ უზრუნველყოფს მისთვის აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

5.3.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

5.3.5 „**შემსყიდველისაგან**" მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

5.4 „**მიმწოდებელი**" ვალდებულია:

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

5.4.3 „**შემსყიდველს**" აცნობოს აუდიტური შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

5.4.4 საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას (მომსახურების გაწევისას) მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „**მიმწოდებლის**" მიერ აუდიტორული ანგარიშის შედგენისა და მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

„**მიმწოდებელი**" იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „**შემსყიდველს**".

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება „**მიმწოდებელთან**" განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „**მიმწოდებლის**" საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, საგალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას დამკვეთი ორგანიზაციისათვის;

9.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

9.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „**შემსყიდველი**" არ არის ვალდებული წარმოუდგინოს „**მიმწოდებელს**" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, „**მიმწოდებელმა**" წერილობით უნდა აცნობოს „**შემსყიდველს**" ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს „„**შემსყიდველს**" მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „**მიმწოდებელს**" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დაღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და „**მიმწოდებლისათვის**" ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „**შემსყიდველისა**" და/ან „**მიმწოდებლის**" შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიხანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, „**შემსყიდველს**" ერიცხება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;

12.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „**მიმწოდებლის**" მხრიდან ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;

12.3 თუ „**შემსყიდველი**" ვერ უზრუნველყოფს „**მიმწოდებლისათვის**" აუდიტის საგანთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, „**მიმწოდებელი**" იტოვებს უფლებას შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

12.4 „**მიმწოდებელს**" აუდიტური მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების (ქონებრივი) პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „**მიმწოდებელს**" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „**მიმწოდებელს**" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 „**შემსყიდველს**"" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „**შემსყიდველისათვის**" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „**შემსყიდველი**" ვალდებულია აუნაზღაუროს „**მიმწოდებელს**" ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 ივლისამდე, ან მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ააიპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	აუდიტური კომპანია „კომპაუდი"
მისამართი: ქ.დმანისი გორგასალის ქ.№17 „ლიბერთი ბანკის" დმანისის ფილიალი ა/ა GE31LB0115115121415000 ს/კ 228928774	მისამართი: ქ.თბილისი, დ. ბაქრაძის №6 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ა/ა GE62BG0000000192631800GEL, კოდი №220101502, ს/კ №202385169
დირექტორი ნინო ონანაშვილი	დირექტორის წარმომადგენელი ვაჟა კობიაშვილი